

ლევან ალექსიძე, იამზე გაგუა, მაია დანელია,  
ეკატერინე კობახიძე, ნინო რუხაძე,  
„ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია“,  
თბილისი, მერიდიანი, 2015, 678 გვ.

სარეცენზიო ნაშრომი „ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია“ შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში და მომზადებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტზე მუშაობდნენ, როგორც მეცნიერ-იურისტები (პროფ. ლევან ალექსიძე, ნინო რუხაძე), ასევე ფილოლოგები – ლათინური ენის სპეციალისტები (პროფ. იამზე გაგუა, ეკატერინე კობახიძე, მკვლევარი მაია დანელია). სწორედ საკითხისადმი ამგვარმა, შეიძლება ითქვას, კომპლექსურმა მიდგომამ განაპირობა მიღებული ნაშრომის ის მნიშვნელობა და ღირებულება, რაც მას გააჩნია მეცნიერ-მკვლევართა, სამართლის (განსაკუთრებით რომის სამართლის) შესწავლით დაინტერესებულ პირთა თუ მკითხველთა ფართო წრის თვალში.

სრულყოფილი საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება წარმოუდგენელია სათანადო დონეზე ლათინური ტერმინოლოგიის არათუ უბრალო ცოდნის, არამედ მასში ღრმა წვდომისა და ეტიმოლოგიური მნიშვნელობის დადგენის უნარს გარეშე. ეს გარემოება, ბუნებრივია, დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართული უმაღლესი იურიდიული განათლების სივრცისათვის, არამედ მთლიანი რომაულ-გერმანული სამარ-

თლებრივი ოჯახის წარმომადგენელი ნებისმიერი კონტინენტური ევროპის ქვეყნისათვის. ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია რომის სამართლის რეცეფციის ისტორიული პირობების გათვალისწინებით, რის გამოც ფაქტობრივად ლათინური „საერთაშორისო ურთიერთობის“ ენად იქცა ევროპულ იურიდიულ სივრცეში. მით უმეტეს მნიშვნელოვანია ეს ცოდნა თანამედროვე გამოწვევების ფონზე, როდესაც ევროინტეგრაციის პროცესების გათვალისწინებით, არაერთი ნორმისა თუ ინსტიტუტის იმპლემენტაცია ხდება მოქმედ კანონმდებლობაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რომის სამართლის შესწავლის შეუძლებლობა ლათინური ტერმინოლოგიის მინიმალური ცოდნის გარეშე. რომის სამართლის გავლენამ განაპირობა უამრავი ლათინური ტერმინის დამკვიდრება, რაც დღესაც მკვეთრად იგრძნობა თანამედროვე იურიდიული ხასიათის ნაშრომებსა თუ ნორმატიულ აქტებში. გარდა ამისა, ისტორიული თვალსაზრისით, რომში ჩამოყალიბდა ტერმინები, რომლებიც დღეს უკვე ნაკლებად, ან საერთოდ აღარ გამოიყენება, მაგრამ თანამედროვე სამართლებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზის წარმოდგენა მათი გააზრების გარეშე შეუძლებელია.

დაიტერესებული მკვლევარისა თუ მკითხველის ინტერესს ლათინურ იურიდიულ ტერმინოლოგიასთან მიმართებაში გარკვეულ წილად აკმაყოფილებს უცხოურ ენებზე გამოცემული არაერთი ლექსიკონი თუ საცნობარო ლიტერატურა. მიუხედავად ამისა, დღემდე მწვავედ იგრძნობა ლათინური იურ-

იდიული ტერმინოლოგიის ამსახველი ქართულენოვანი ნაშრომების<sup>1</sup> სიმცირე.

ამ თვალსაზრისით სარეცენზიო ნაშრომი, რომლის სრული მოცულობა 678 გვერდს შეადგენს, ნამდვილად მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს.

ნაშრომი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: წინასიტყვაობა; შესავალი; I. ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია; II. ლათინური იურიდიული ფორმულები და გამონათქვამები; III. რომაელი იურისტები და გამონათქვამები; IV. დანართი და შეჯამება (ინგლისურ ენაზე).

ნაშრომის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რასაკვირველია, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიაა. ამ ნაწილის უდავო ღირსებას წარმოადგენს შემდეგი გარემოებები: ავტორები არ შემოიფარგლებიან უბრალოდ ლათინური ტერმინის ქართული შესატყვისის მოძიებით; აქ მოცემულია ლათინურ იურიდიულ ტერმინთა განმარტება და წარმომავლობის ისტორია; ტერმინებს თან ახლავს ტრანსკრიფცია (როგორც კლასიკური, ასევე შუა საუკუნეების პერიოდისა); მისადაგებულია ქართულენოვანი ტერმინი; დამოწმებულია პირველწყარო; მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული ტერმინის რომის სამართლისა თუ ქართულ წყაროებში დადასტურების შესახებ; იმ შემთხვევაში, თუკი ტერმინი გამოიყენება მოქმედ კანონმდებლობაში, მითითებულია შესაბამისი ნორმატიული აქტი.

ლათინური ტერმინოლოგიის ქართული სამართლის წყაროებში დამკვიდრების ქრონოლოგიის თვალსაზრისით, ავტორები პირობითად რამდენიმე ეტაპს გამოჰყოფენ. ესენია:

<sup>1</sup> მაგ. ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, შემდგენლები: ნუნუ კაპანაძე, მარინა კვაჭაძე, თბ. 2008, 86 გვერდად, და სხვა.

XI-XII სს; XVII-XIX სს; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები; საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული იურიდიული ტერმინოლოგია. ქართული სამართლის პირველწყაროებში ლათინური ტერმინების ამგვარ ჭრილში განხილვა უადრესად ორიგინალურ ხასიათს სძენს მთლიანად ნაშრომს და, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამომავლოდ ბევრად გააადვილებს ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევებს.

ავტორები ასევე გვანახებენ იმ გზებსაც, რაც ცალკეულმა ტერმინმა გაიარა ქართულ ენაში დასამკვიდრებლად (საუბარია კონკრეტული ტერმინის, მაგ., ბერძნული ან რუსული ენიდან სესხების შემთხვევაში).

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო იქნებოდა XVIII საუკუნის დასაწყისში ქართულ ენაზე თარგმნილი და ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნთა კრებულში შესული რომაული სამართლის წყაროების (ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის და სომხური სამართლის ქართული ვერსიის პირველი ნაწილის – სირიულ-რომაული სამართლის) ფარგლებში დამკვიდრებული ლათინური ტერმინებისა და/ან მათი შესატყვისი ქართული ტერმინების გამოვლენა/მნიშვნელობის დადგენაც, თუმცა კარგად გვესმის, რომ ეს სცილდება პროექტის ფარგლებს და სამომავლო მუშაობის საგანს წარმოადგენს.

ნაშრომის შემდეგ ნაწილში – ლათინური იურიდიული ფორმულები და გამონათქვამები – თავმოყრილია ის ძირითადი სენტენციები თუ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფორმულები, რომლებიც ხშირად გვხვდება სხვადასხვა დროის რომაელი იურისტების, საზოგადო მოღვაწეთა თუ რომის

სამართლით დაინტერესებულ მკვლევართა გამონათქვამებსა და ნაშრომებში. ამჯერადაც თანდართული ტრანსკრიფცია აადვილებს ამ გამონათქვამების სწორად წაკითხვასა თუ წარმოთქმას.

ნაშრომის შემდგომ ნაწილში – რომაელი იურისტები და კანონმდებლები – თავმოყრილია მოკლე ინფორმაცია ცნობილი რომაელი სამართალმცოდნეების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და კანონმდებლების შესახებ, რაც აადვილებს ქართულენოვანი მკითხველისათვის პირველდაწყებითი წარმოდგენის შექმნას მათი მოღვაწეობის რაობასა და პერიოდის თაობაზე.

დანართში გადმოცემულია გრამატიკული ცნობარი, რაც აადვილებს ლათინური ტერმინებისა და ფორმულების სწორად გაგებას.

მთლიანობაში სარეცენზიოდ წარმოდგენილი ნაშრომი – ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია – თანდართული, გამართული სამეცნიერო აპარატით, წარმოადგენს მნიშვნელოვან სიახლეს და საინტერესო შენაძენს სამართლით (ასევე სამართლის ისტორიით, რომის სამართლით) დაინტერესებული მეცნიერ-მკვლევარებისა თუ მკითხველთა ფართო წრისათვის. მოქმედი კანონმდებლობის ჭრილში წარმოდგენილი ლათინური ტერმინოლოგია აადვილებს იმ გზების წარმოდგენას, რაც ცალკეულმა ტერმინმა გაიარა წარმოშობიდან თანამედროვე სამართლებრივ აქტებში დამკვიდრებამდე.

დაბოლოს, ლათინური ტერმინების სწორად გაგება, რის საშუალებასაც უპირობოდ იძლევა აღნიშნული ნაშრომი, ბევრად გააადვილებს ევროპულ სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრებული იურიდიული ინსტიტუტების ქართული კანონ-

მდებლობის ფარგლებში ასახვისა და იმპლემენტაციის პროცესს.

### **დავით ბოსტოღანაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი